შეთანხმება ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ N1

ქ. დედოფლისწყარო „3“ „დეკემბერი“ 2019 წ.

ერთის მხრივ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტმა, რომელსაც წარმოადგენს მერის პირველი მოადგილე დავით ფხოველიშვილი და მეორეს მხრივ შ.პ.ს. ,,როიალ ბილდინგი"-მ, რომელსაც წარმოადგენს მისი დირექტორი ოთარ გოგილაშვილი, დადეს ეს შეთანხმება შემდეგზე:

,,ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ'' სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების 36-ე მუხლისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტსა და შ.პ.ს. ,,როიალ ბილდინგი"-ს შორის 2019 წლის 12 ნოემბერს დადებული N142 ხელშეკრულების მე-17 მუხლის შესაბამისად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტსა და შ.პ.ს. ,,როიალ ბილდინგი"-ს შორის 2019 წლის 12 ნოემბერს დადებულ N142 ხელშეკრულებაში საჭიროდ ვთვლით ცვლილების შეტანას:

მუხლი 1. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტსა შ.პ.ს. ,,როიალ ბილდინგი"-ს შორის 2019 წლის 12 ნოემბერს დადებულ N142 ხელშეკრულებაში შევიდეს ცვლილება და ხელშეკრულების 1-ლი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,, მუხლი 1. შესყიდვის ობიექტის დასახელება და შესაბამისი CPV კოდი

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის N2 საჯარო სკოლასთან მისასვლელი გზის და სკოლის ეზოს რეაბილიტაციის (სკოლის შესასვლელისა და შიდა ეზოს კეთილმოწყობა) სამუშაოები.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის CPV კოდია: 45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები 45233140 - გზის სამუშაოები.''

მუხლი 2. ეს შეთანხმება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3. მხარეთა ვალდებულებები რომლებსაც ეს შეთანხმება არ შეხებია დარჩეს უცვლელი.

მუხლი 4. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ორ ეგზემპლარად, თითოეული მხარისათვის და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

შემსყიდველი ორგანიზაცია:
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი
მერის პირველი მოადგილე,

დავით ფხოველიშვილი

მიმწოდებელი:
შ.პ.ს. ,,როიალ ბილდინგი"
დირექტორი

ოთარ გოგილაშვილი

Dedoplistskaro Municipality

Digitally signed by Dedoplistskaro Municipality
Date: 2019.12.03 18:11:15 +04'00'